მაია ინასარიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

მასწავლებლის საქმიანობა ეფექტიანია, თუ ის არ კმაყოფილდება მიღწეულით, მუდმივად ეცნობა სიახლეებს საგნის სწავლებაში, მომენტალურად რეაგირებს ცვლილებებზე, ეძებს მოსწავლეთა მოტივირებისა და მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესების გზებს.

სტანდარტების რევიზია ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებლებს. რა იცვლება საგნის სწავლების ძირითად ნორმატიულ დოკუმენტში და რითაა ეს ცვლილებები გამოწვეული? როგორია რევიზირებული სტანდარტის მიმართულებები? რა ცვლილებები შედის მოსწავლეთა შეფასების სისტემაში განახლებული სტანდარტის მიხედვით? როგორ განვახორციელოთ ეს ცვლილებები საკლასო ოთახში? - ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხებიც მასწავლებლებმა ერთად უნდა ეძიონ. სწორედ ამ საკითხების გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერ კლასს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მასტერკლასზე მასწავლებლები იმსჯელებენ რევიზირებული სტანდარტის (ჯერჯერობით იგულისხმება სამუშაო ვერსიია) დადებით მხარეებსა და მისი განხორციელების რისკფაქტორებზე. გაეცნობიან ტიპობრივ დავალებებს შემაჯამებელი შეფასებისათვის, სტანდარტით რეკომენდებულ მეთოდებს და თავად მიიღებენ მონაწილეობას ამ მეთოდების იმიტირებაში, რათა ორი პოზიციიდან - მასწავლებლის და მოსწავლის - შეაფასონ მათი ეფექტიანობა.

<u>**მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:**</u> საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლები.

<u>**მსმენელთა რაოდენობა:**</u> 25 მსმენელი

<u>**მასტერ კლასის ხანგრძლივობა:**</u> 4 საათი.